**დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის** გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 4 021.540 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 3 620.480 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 90.86%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 15.82%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის, ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმის, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობის, ინტელექტუალურის და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის, დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია.

**განათლების სფეროზე** გათვალისწინებული იყო 4 109.224 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 4 103.634 ათას ლარს, ანუ გეგმის 99.86%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდა და განათლების, ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტების ფულადი ჯილდოთი წახალისების, ა.ა.(ი)პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების, ა.ა.(ი).პ ქედის სასპორტო სკოლის, ა.ა.(ი).პ ქედის სახელოვნებო სკოლის ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 17.93%-ს.

**სოციალურ დაცვა**ზე დაგეგმილი იყო 2 878.479 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 2 836.745 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.55%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12.40%-ს. იგი მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის; ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების; ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების; გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების; ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამის, შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფის, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარების, საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარების, მარტოხელა სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარების, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების თანადაფინანსების, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის, სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების ხარჯებს.

## ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

| № | დასახელება | 2024 წლის გადასახდელები გეგმა-ხარჯი (დაზუსტებული) | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | გეგმა | საკასო შესრულება | შესრუ-ლების % | %-ლი წილი |
| 1 | შრომის ანაზღაურება | 6 890 535 | 6 881 806 | 99,87% | 26,16% |
| 2 | საქონელი და მომსახურება | 3 905 536 | 3 846 412 | 98,49% | 14,62% |
| 3 | პროცენტი | 5 300 | 5 265 | 99,34% | 0,02% |
| 4 | სუბსიდიები | 3 144 045 | 3 118 151 | 99,18% | 11,86% |
| 5 | გრანტები | 2 100 | 1 700 | 80,95% | 0,01% |
| 6 | სოციალური უზრუნველყოფა | 1 854 080 | 1 843 415 | 99,42% | 7,01% |
| 7 | სხვა ხარჯები | 2 177 009 | 2 167 771 | 99,58% | 8,24% |
| 8 | არაფინანსური აქტივები | 9 721 825 | 8 410 640 | 86,51% | 31,98% |
| 9 | ვალდებულებები | 28 000 | 26 790 | 95,68% | 0,10% |
| **გადასახდელების ჯამი** | | 27 728 431 | 26 301 951 | 94,86% | |

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 6 881.806 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 26.16%;

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 3 846.412 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 14.62%;

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 5.265 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.02%;

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 3 118.151 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 11.86%;

გრანტების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 1.700 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.01%;

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1 843.415 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 7.01%;

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 2 167.771 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 8.24%;

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 8 410.640 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 31.98%;

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 26.790 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.10%;




ვალდებულებები; 26 790
შრომის ანაზღაურება; 6 881 806
არაფინანსური აქტივები; 8 410 640
საქონელი და მომსახურება; 3 846 412
სხვა ხარჯები; 2 167 771
პროცენტი; 5 265
სუბსიდიები; 3 118 151
სოციალური უზრუნველყოფა; 1 843 415
გრანტები; 1 700

# ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები

## პროგრამულ ჭრილში

პროგრამულ ჭრილში ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის

ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა | ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები | | |
|---|---|---|---|---|
| | | გეგმა | საკასო შესრულება | შესრუ-ლების % |
| 1 | **ქედის მუნიციპალიტეტი** | **27 728 431** | **26 301 951** | 94,86% |
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **5 742 413** | **5 664 914** | 98,65% |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 4 635 410 | 4 581 381 | 98,83% |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 1 107 003 | 1 083 533 | 97,88% |
| **02 00** | **ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება** | **8 185 595** | **7 308 752** | 89,29% |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2 811 150 | 2 393 052 | 85,13% |
| 02 02 | საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება | 1 688 965 | 1 555 383 | 92,09% |
| 02 02 01 | წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა | 1 042 165 | 909 700 | 87,29% |
| 02 02 02 | შპს ქედის წყალკანალი | 646 800 | 645 683 | 99,83% |
| 02 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2 006 300 | 1 849 307 | 92,17% |
| 02 03 01 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი | 676 200 | 662 069 | 97,91% |
| 02 03 02 | ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 765 200 | 629 836 | 82,31% |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02 03 03 | პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა | 564 900 | 557 402 | 98,67% |
| 02 04 | მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები | 379 150 | 306 757 | 80,91% |
| 02 05 | სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა | 13 000 | 12 799 | 98,45% |
| 02 06 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 768 430 | 680 738 | 88,59% |
| 02 07 | საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა | 8 000 | 5 600 | 70,00% |
| 02 08 | შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი | 510 600 | 505 116 | 98,93% |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **1 798 400** | **1 798 140** | 99,99% |
| 03 01 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში | 1 798 400 | 1 798 140 | 99,99% |
| **04 00** | **განათლება** | **3 015 100** | **3 012 581** | 99,92% |
| 04 01 | სკოლამდელი აღზრდა და განათლება | 2 998 600 | 2 996 081 | 99,92% |
| 04 02 | ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა ხელშეწყობის პროგრამა | 16 500 | 16 500 | 100,00% |
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **5 115 664** | **4 711 533** | 92,10% |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 2 522 324 | 2 427 481 | 96,24% |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 2 593 340 | 2 284 052 | 88,07% |
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **3 871 259** | **3 806 031** | 98,32% |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 992 780 | 969 286 | 97,63% |
| 06 02 | სოციალური უზრუნველყოფა | 2 878 479 | 2 836 745 | 98,55% |




ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პრიორიტეტების ფაქტიურ ხარჯები შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 5 664.914 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება - 7 308.752 ათასი ლარი;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 798,140 ათასი ლარი;
- განათლება - 3 012.581 ათასი ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 4 711,533 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 3 806.031 ათასი ლარი.




ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დეტალურად მოცემულია დანართის (**დანართი №2**) სახით.

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 241.400 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 0.91%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2024 წელს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 240 961.90 ლარი შეადგინა, დეტალური ინფორმაცია ცხრილის (**დანართი №1**) სახით თან ერთვის ანგარიშს.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
მიერ 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

მოგახსენებთ, რომ 2024 წელს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში შეიქმნა ორი სტრუქტურული ერთეული: ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება და სოციალური დაცვის განყოფილება.

აქვე გაცნობებთ, რომ სოციალური დაცვის განყოფილებაში დასაქმებულია ორი სპეციალისტი. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანდაცვის საკითხებში, ერთი საშტატო ერთეული ვაკანტურია. ხოლო ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში სამი საშტატო ერთეული ვაკანტურია. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულია ერთი სპეციალისტი-იურისტი.

სამსახური ხელმძღვანელობს თანამდებობრივი ინსტრუქციით, მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, სამსახურის დებულებითა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით.

სამსახურის მიერ გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის შესწავლისა და ანაზღაურების მიზნით. მოქმედებდა სულ 20 მიზნობრივი პროგრამა კერძოდ:

სამსახურის მიერ გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის შესწავლისა და ანაზღაურების მიზნით. მოქმედებდა სულ 20 მიზნობრივი პროგრამა კერძოდ:

1.,,სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა", რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 32 000 ლარს. პროგრამა განახორციელა ტენდერში გამარჯვებული ინდ. მეწარმე „დარეჯან გორგაძემ"- სარგებლობს 25 მოქალაქე.

2 .,,უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 50 000 ლარს. პროგრამით ამ დროისათვის ისარგებლა 90 ოჯახმა (სარეიტინგო ქულა 120 000-ზე ნაკლები) და თითოეულ ოჯახს გაეწია 500 ლარიანი დახმარება.

3.,,ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციართა (თანმხლები პირის ერთად) მგზავრობის ღირებულების ანაზღაურების პროგრამა", რომლის ბიუჯეტი შეადგენს 37 320 ლარს. პროგრამით სარგებლობს 18 მოქალაქე.

4.,,ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების" პროგრამა , რომლის ბიუჯეტი შეადგენს 91 990 ლარს. ( გაზით მომსახურების - 47590, ვეტერანის დღესთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 40400, აგვისტოს ომის დროს დაღუპული მეომრის ოჯახისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება-2000 ლარის ოდენობით და დახმარება ვეტერანთა გარდაცვალებასთან დაკავშირებით 2500) ლარი აღნიშნული პროგრამით სარგებლობს 205 ვეტერანი.

5. „ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა", რომლის ბიუჯეტი შეადგენს 105 000 ლარს. აღნიშნული პროგრამით ამ ეტაპისთვის ისარგებლა 70-მა ოჯახმა. თითიეულ ოჯახს გაეწია ფინასური დახმარება 1500 ლარის ოდენობით.

6.,,სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების" პროგრამა, რომლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 203 000 ლარს. მოსახლეობას ემსახურება 40 მედდა, რომლებიც აღჭურვილი არიან პირველადი მოხმარების მედიკამენტებითა და დამხმარე საშუალებებით. სისტემატიურად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი.

7.,,თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის''. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 93 600 ლარს. მობილური გუნდი ყოველთვიურად ადგილზე მისვლით ახდენდა 50-60 ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების მონახულებას, უწევს მათ შესაბამის მომსახურეობას და სპეციფიკური მედიკამენტების მიწოდებას.

8.,,სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა", რომლის ბიუჯეტი შეადგენს 65 000 ლარს. ამ ეტაპისათვის სარგებლობს 70 ბენეფიციარი.

9. მოვლის საჭიროების პირთათვის ფინანსური დახმარება. რომლის ბიუჯეტი 378 000 ლარს შეადგენს. პროგრამით გათვალისწინებულია 0-18 წლამდე და 18 წლის ზემოთ ასაკის ბენეფიციარებისათვის (ეტლით მოსარგებლე და მწოლიარე) ფინანსური დახმარება. 0-18 87 ბენეფიციარი. წლამდე 150 ლარი. სარგებლობს 83 ოჯახის 87 ბავშვი. 18 წელს ზევით 250 ლარი, სარგებლობს

10. ,,ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსებ"ის - ბიუჯეტი შეადგენს 80 000 ლარს, აღნიშნული პროგრამის შესაბამისად 209 ოჯახზე გაცემულია საგარანტიო წერილი მათ მიერ გადასახდელი თანხის დასაფინანსებლად.

11.,,მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფ"ის - ბიუჯეტი შეადგენს 470 000 ლარს, აღნიშნული პროგრამის საფუძველზე გაიცემა შესაბამისი ვაუჩერები. ამ ეტაპისათვის უკვე ისარგებლა 2350 მოქალაქემ.

12.პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა წითელი ჯვრის საზოგადოებასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ერთობლივი პროექტის ,,საქმიანობთა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" ბიუჯეტი შეადგენს 26 200 ლარს.

13.,,მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფ"ის - ბიუჯეტი შეადგენს 470 000 ლარს, აღნიშნული პროგრამის საფუძველზე გაიცემა შესაბამისი ვაუჩერები. ამ ეტაპისათვის უკვე ისარგებლა 2350 მოქალაქემ.

14.,,სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება". პროგრამის ბიუჯეტი 1 166 000 ლარს შეადგენს და სარგებლობს 324 ოჯახი.

15. ,,0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება". პროგრამის ბიუჯეტი 19 200 ლარს შეადგენს. სარგებლობს ორი ოჯახი, თვეში 800 ლარის ოდენობით.

16. ,,მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალ დაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება"- პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 99 600 ლარს. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 4 მარტოხელა მშობელი და გათვალისწინებულია თვეში 200 ლარით დახმარება, ხოლო მარჩენალდაკარგული-თვითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით. ამ დახმარებით სარგებლობს 44 ოჯახის 75 ბავშვი.

გარდა მერიის პროგრამებისა გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ,,საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამაში" ჩასართავად შუამდგომლობა გაეწია 145 ოჯახს, ასევე სამთავრობო კომისიაზე განსახილველად შუამდგომლობა გაეწია 1 სახლდამწვარ ოჯახს და მეწყერის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების გამაგრებისათვის ფინანსური დახმარების თაობაზე - 38 ოჯახს. შემოსულია განცხადებები საცხოვრებელი სახლებისა და მიმდებარე ტერიტორიების გეოლოგიურად შესწავლასთან დაკავშირებით. შესწავლილია გეოლოგიური სამსახურის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები, სადაც მითითებულია სხვადასხვა რეკომენდაციები, როგორც ადგილმონაცვლეობა, ასევე საცხოვრებელი სახლის გამაგრება და მიმდებარე ტერიტორიების ფერდსამაგრი კედლის მოწყობა. დასკვნების საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება.

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის**

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

**2024 წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ**

მოგახსენებთ, რომ 2024 წლის სამუშაო პერიოდში სამსახურის მიერ შესრულებული იქნა თანამდებობრივი ინსტრუქციით, მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, სამსახურის დებულებითა და მუნიცილალიტეტის სხვა სამართლებლივი აქტით განსაზღვრული დავალებები. მონაწილეობა მივიღე მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფი მცირე არქიტექტურული ფორმების, მშენებლობის პროცესში სამშენებლო სამუშაოების სისტემატიური და დროული ზედამხედველობის მონიტორინგში, სამშენებლო ობიექტების დროულად ექსპლოატაციაში მიღების, სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და სხვადასხვა კომისიების მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მისაღებად შემოსულ განცხადებებზე კანონით განსაზღვრულ ვადაში გაცემულია13 (ცამეტი) სამშენებლო ნებართვა კერძოდ სოფელ ზუნდაგაში, ტაკიძეებში, ჯალაბაშვილებში ,დაბა ქედის ი.გოგებაშვილის ქუჩაზე ინდივიდუალურ საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ,სოფელ ხარაულაში, სიხალიძეებში, კოკოტაურში საცხოვრებელი კოტეჯებისა, დაბა ქედაში სასპორტო საფეხბურთო სტადიონის მოწყობისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობებზე. გაზსადენის შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობისათვის გაიცა მშენებლობის ნებართვები დანდალოს, ახოს, პირველი მაისის, ქვედა ბზუბზუსა და ჭინკაძეების სოფლებში. ექსპლოატაციაში მიღებული იქნა მშენებლობა დამთავრებული 5 (ხუთი) ობიექტი. სოფელ ჯალაბაშვილებში ორსართულიანი ორი ერთეული ინდივიდუალური საცხოვრებელი კოტეჯი, სოფელ მილისში საცხოვრებელი სახლი, მდინარე აკავრეთაზე განთავსებული ,,შევაბური ჰესი", სოფელ ცხემნაში საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქედის წარმომადგენლობითი ოფისისა და დამხმარე ნაგებობის შენობები, სოფელ სიხალიძეებში ორი ერთეული ინდივიდუალური საცხოვრებელი კოტეჟი. სამშენებლო სამართალდარღვევის გამო დაჯარიმებული იქნა 5 (ხუთი) პირი, მათგან ერთი იურიდიული და ოთხი ფიზიკური პირი, ხოლო ოთხ ფიზიკურ პირს მიეცათ წერილობითი გაფრთხილება შენობა-ნაგებობის დარღვევისათვის, რათა წარმოედგინათ სათანადო დოკუმენტაცია, რაც შესრულდა.

ჩატარდა კეთილმოწყობითი და დასუთავების სამუშაოები შპს ქედის ,,კომუნალურსერვისი"-ს სამსახურთან ერთად დაბა ქედის ტერიტორიაზე . კერძოდ გაიწმინდა და დასუფთავდა ფრიდონ ხალვაშის სახელობის პარკი რუსთაველის ქუჩაზე გამარჯვების პარკი და 9 აპრილის პარკი ნაგვისა და სარეველა მცენარეებისაგან. მოწესრიგდა ტბ. აბუსერიძის, აღმაშენებლის, 26 მაისის, წერეთლის ქუჩების ტერიტორია. იანვარ- თებერვალში სისტემატიურად ხდებოდა თოვლის საფარისგან დაბის ქუჩების, საფეხმავლო კიბეებისა და ტროტუარების გაწმენდა. მოიყარა ტექნიკური მარილი. სისტემატურად მიმდინარეობს ქუჩების დაგვა-დასუფთავება და ხდება ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაბა ქედისა და მუნიციაპლიტეტის სოფლებიდან. შპს , კომუნალურსერვიში"-ს მიერ დაბა ქედაში მარტის თვეში განხორციელდა მრავალწლიანი ნარგავების შეთეთრების სამუშაოები. ჩატარდა დასუფთავების აქციები

22 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო და 24 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებში და ბათუმი-ახალციხის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე. დაირგო მრავალწლიანი ნარგავები დაბა ქედაში გამარჯვების პარკში.

აპრილის თვეში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გეგმიური საკითხის ,,ნარჩენების მართვის მდგომარეობის შესწავლ"-ის ფარგლებში განხორციელდა მონიტორინგი ქედის მუნიციპალიტეტში, მონიტორინგის დროს გამოვლინდა რვა დანაგვიანებული ტერიტორია უნებართვოდ განთავსებული სამშენებლო ნარჩენებით კერძოდ, მახუნცეთში, პირველ მაისში, ცხემნაში, ზვარეში დანდალოსა და კოკოტაურში დანაგვიანებული ტერიტორიები დასახული ღონისძიებებით შპს ,,კომუნალურსერვისი"-სა და მოსახლეობის ძალებით დასუთავდა.

სისტემატიურად ხორციელდება დაზიანებული გარე განათების ქსელებისა და სანათი წერტილების აღდგენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აღდგენილ იქნა და სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა დაბა ქედის,წონიარისის, , არსენაულის, დოლოგნის, აწჰესის დასახლების,მახუნცეთის, გულების, გობრონეთის სოფლებში. მიმდინარე წელში დასახული სოფლის მხარდაჭერისა და მონაწილეობითი ბიუჯეთით დასრულდა გარე განათების მოწყობის სამუშაოები მუნიციპალიტეტის სოფლებში

შპს ,, წყალკანალი"-ს მიერ ჩატარდა საკანალიზაციო - სანიღვრე არხების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა ყ.შერვაშიძის,აღმაშენებლის, აბუსერიძის, აწჰესის დასახლების ქუჩებზე. ხორციელდება სეპტიკების დაქლორვა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ქედა-შევაბურის, ზენდიდის, ორცვის სასმელი წყლის მაგისტრალებს. დაბა ქედაში სისტემატურად ხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა

პერიოდულად ვანხორციელებ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახური, ამორტიზირებულ ობიექტებზე ღონისძიებების გატარებას. შესწავლილ იქნა დაბა ქედაში კოსტავას ქუჩაზე მდებარე გამგეობის ყოფილი საქვაბე შენობა-ნაგებობის მდგრადობა. შესწავლის შედეგად აღმოჩნდა,რომ შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და ექვემდებარება დემონტაჟს. დაიშალა სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწჰესის დასახლება) ელექტრო გადამცემი ხაზის დაცვის ზონაში კაფე ბარის შენობა.დემონტაჟი განხორციელდა დაბა ქედაში თამარის ქუჩაზე უნებართვოდ განთავსებული ფრინველის სადგომებსა და თვითნებურად დაკავებულ საბოსტნე ტერიტორიებს მეპატრონეების მიერ. სოფელ ოქტომბერში დემონტაჟი ჩაუტარდა უმოქმედო საყოფაცხოვრებო დანიშნულების (სამკერვალო) შენობა- ნაგებობას.

ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის საშუალებით კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დროულად ვახდენდენთ რეაგირებას შემოსულ განცხადებებსა და წერილებზე .სისტემატიურად ვმონაწილეობთ მშენებარე მშენებლობებების პროცესში სამშენებლო ობიექტების დროულად ექსპლოატაციაში მიღებასა და სხვადასხვა კომისიების მუშაობაში.

ზედამხედველობის სამსახური საგანგებო მსჯელობის საგნად გახდის, როგორც სახელმწიფო სექტორის, ასევე კერძო მოსახლეობის მხრიდან საზედამხედველო კანონმდებლობით გათვალისწინებულ კანონდარღვევათა ყველა ფაქტს, მიიღებს კომპეტენციის ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებს.

## შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ 2024 წლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ დღეის მდგომარეობით ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

1. ქუჩების, მოედნების, პარკებისა და სკვერების სანიტარული დასუფთავება.
2. პარკების მრავალწლიანი ნარგავების განაშენიანებაზე ზრუნვა და მათი მოვლა-პატრონობა.
3. ტურისტული ზონების ტერიტორიის დასუფთავება და მოვლა-პატრონობა.
4. საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა.
5. ქუჩების, მოედნების, პარკების, ადმინისტრაციული ცენტრებისა და სოფლების გარე განათების სისტემის მოვლა პატრონობას.
6. ქედის მუნიციპალიტეტის დაბიდან და სოფლებიდან ნარჩენების გატანა.
7. სისტემურად ხდება ნაგვის კონტეინერების შეკეთება, ყოველდღიურად სუფთავდება დაბა ქედისა და აწჰესის დასახლების ქუჩები, პარკები და სკვერები.
8. სისტემატიურად ვახდენთ მუნიციპალიტეტის სოფლებში განვითარებული მეწყერის გაწმენდას და შიდა საუბნო გზების მოწესრიგებას.

მუნიციპალიტეტის 64 სოფლიდან და ცენტრებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას ვახდენთ ყოველდღიურად დაბიდან და სოფლებიდან ყოველ მეხუთე დღეს, 2024 წელს გატანილია 327 რეისი საყოფაცხოვრებო ნარჩენი,
ემსახურება სამი ერთეული მაღალი გამავლობის სპეც. ტექნიკა. 3 მძღოლი და 7 ოპერატორი.
ეტაპობრივად ვახდენთ მაწანწალა ცხოველების გადაყვანას, ვაქცინაციას და კანონით გათვალისწინებული პროცედურების ჩატარებას, რომელზეც დაიხარჯა 18200 ლარი.
მნიშვნელოვნად გაიზარდა გარე განათების ქსელი დაბასა და მუნიციპალიტეტის სოფლებში, 335 მრიცხველზე 185კმ. საკაბელო ელექტრო გადამცემი ხაზით გვაქვს განათებული 7500-მდე წერტილი. ელექტროენერგიის ხარჯი შეადგენს დაახლოებით 228429 ლარს. გარე განათების ქსელის მოვლა- პატრონობისათვის, ელექტრო საქონლის შეძენისათვის გამოყოფილი იყო 80000 ლარი, აქედან დაიხარჯა 50950 ლარი. სტიქიის მოვლენების შედეგად დაზიანებული გარე განათების ბოძების შესაცვლელად შეძენილი იქნა 30 ერთეული გარე განათების ბოძი- 9000 ლარის ღირებულებით.
ქსელის მოვლა პატრონობა ძირითადათ ხორციელდება ერთი სპეცავტომობილით (ფოტონის ფირმის ამწეკალათა), ხოლო მეორე ავტომობილი პეჟო სიძველის გამო ხშირად გამოდის მწყობრიდან, რაც აფერხებს გარე განათების სისტემაზე დროულ რეაგირებას, ამიტომ გვესაჭიროება ახალი სპეც.ტექნიკა, რათა დროულად მოვახდინოთ დაზიანებულ გარე განათებაზე დროული რეაგირება. სისტემატიურად ვახდენთ მუნიციპალიტეტის სოფლებში განვითარებული მეწყერის გაწმენდას, მეწყრული მასის გასატანად და შიდა საუბნო გზების მოწესრიგებისათვის მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან შემოსულია 483 წერილი, რომელთაგან დაკმაყოფილდა და შესრულდა 359 წერილი, ნაწილი წერილებისა შექმნილი რიგის გამო ვერ შესრულდა.

შ.პ.ს. ,,ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბიუჯეტი 2024 წელს განისაზღვრა 1544000 ლარით, აქედან შრომის ანაზღაურება შეადგენს 787685 ლარს, გახარჯულია 786337 ლარი, ოფისის ხარჯები 31300 ლარი - აქედან გახარჯულია 300247 ლარი. რბილი ავეჯისა და უნიფორმის შესაძენად 14200 ლარი-გახარჯულია 13953 ლარი. საწვავ-საპოხი მასალის შესაძენად 233850 ლარი გახარჯულია 231479 ლარი. ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯები შეადგენს 132645 ლარს- გახარჯულია 130584 ლარი. მაწანწალა ცხოველების გადაყვანისათვის 18200 ლარი-
გახარჯულია 18200 ლარი, სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურეობისათვის 60540- გახარჯულია 60342 ლარი.

# ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია არის მუდმივმოქმედი ორგანო. კომისია შედგება საკრებულოს 8 წევრისაგან.

საანგარიშო პერიოდში კომისია თავის საქმიანობას წარმართავდა სამუშაო გეგმის შესაბამისად.

2024 წლის საანგარიში პერიოდში მომზადებული და ჩატარებული იქნა კომისიის 11 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 15 საკითხი.

სხდომებზე განხილული საკითხების ძირითადი ნაწილი ეხებოდა კომისიის კვარტალური გეგმების დამტკიცებას, მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების ანგარიშების მოსმენასა და შეფასებას.

2024 წლის საანგარიშო პერიოდში სხდომაზე განხილული ერთ-ერთი საკითხი იყო საკრებულოს გარდაცვლილი წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტა და მის ნაცვლად ახალი წევრის უფლებამოსილების ცნობა.

კომისიამ მიიღო განცხადება კომისიების შემადგენლობაში მისი გაწევრიანების შესახებ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კომისია, ასევე უზრუნველყოფდა აღმასრულებელი ორგანოსაგან შემოსული რიგგარეშე საკითხების, სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას და შესაბამისი დასკვნების მომზადებას.

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ(დადგენილება) პროექტი.
2. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება პროექტი.
3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი.
4. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს #35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის(დადგენილება) პროექტი.

აღნიშნული საკითხებიდან საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო ხუთივე საკითხზე. სამი საკითხი გაგზავნილ იქნა სამართლებრივი კონსულტაციისთვის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტში, საიდანაც შენიშვნების გარეშე დაბრუნდა 2 საკითხი, ხოლო შენიშვნით ერთი, კერძოდ: „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი. მიღებული პასუხის თანახმად, საკითხი უნდა დარეგულირებულიყო ნორმატიული აქტის ნაცვლად „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე" ქვეპუნქტის მიხედვით, რომლის თანახმად, მერი არის უფლებამოსილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი".

მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტისაგან მიღებული შენიშვნა წერილობით ეცნობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს და დადგენილების პროექტი არ იქნა გატანილი საკრებულოს სხდომაზე და გაიწვიეს უკან.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ინიცირებული იქნა 1 საკითხი, „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე" (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №გ-95.95240892 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტისაგან მიღებული შენიშვნის საფუძველზე.

კომისია საანგარიშო პერიოდის განმალობაში მონაწილეობას ღებულობდა მუნიციპალიტეტის სოფლებში გამართულ შეხვედრებში, იკვლევდა მოსახლეობის პრობლემებს და მოგვარების მიზნით შუმდგომლობდა მუნიციპალიტეტის მერიასთან.

*პროექტი*

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № --**

**2025 წლის -- მარტი**
**დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ**

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართი №1-სა.
2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა უზრუნველყონ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა და მომზადება დადგენილ ვადაში.
3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე

დანართი №1

# ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა

| № | განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები | განხილვის თარიღი | საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე | საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე | პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და დამტკიცება | პერიოდულად | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს სხდომაზე | კომისიის თავმჯდომარე |
| 2 | ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2024 წლის მდგომარეობით აუქციონის ჩატარების შესახებ ანგარიშის მოსმენა - განხილვა | აპრილი | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს სხდომაზე | მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი |
| 3 | ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2025 წლის პირველი კვარტალის ანგარიშის მოსმენა - განხილვა | აპრილი | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს სხდომაზე | მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი |
| 4 | ქედის მუნიცალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა | აპრილი | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს სხდომაზე | მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი |
| 5 | საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წლიური ანგარიში | მაისი | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს სხდომაზე | საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე |
| 6 | ააიპ „ქედის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2024 წელს გაწული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა | მაისი | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს სხდომაზე | ააიპ „ქედის კულტურის ცენტრი“-ს დირექტორი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7 | ააიპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა-განხილვა | მაისი | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს სხდომაზე | ააიპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორი |
| 8 | საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წლიური ანგარიში | ივნისი | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს სხდომაზე | სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე |
| 9 | შპს „ქედის წყალკანალი“-ს მირ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა | ივნისი | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს სხდომაზე | შპს „ქედის წყალკანალი“-ს დირექტორი |
| 10 | შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“- ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა | ივნისი | კომისიის სხდომაზე | საკრებულოს სხდომაზე | შპს „ქედის ავტოსატრანსპორტ ო საწარმო“- ს დირექტორი |